ჯამრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის რეკომენდაცია

შინაარსი

1. გეგმის მიზანი
2. ჯუგ პოლიტიკა
3. სამუშაო ძალა
4. პროექტის პერსონალი
5. პროექტის აღჭურვილობა
6. პასუხისმგებლობა
7. რისკის შეფასება და მენეჯმენტი
8. ტრეინინგი
9. კომპეტენტური პირი
10. პროცედურები
10.1 სამსახურებრივი ქმედება
10.2 პირადი დაცვის აღჭურვილობა
10.3 სმენის დაცვა
10.4 ვარდნისგან დაცვა
10.5 მოაჯირები
10.6 ენერგიის იზოლაცია
10.7 ნიადაგის ექსკავაცია და გათხრა.
10.8 ჰაერის კომპრესორები
10.9 პნევმატური ინსტრუმენტები და მოწყობილობა
10.10 ბარიკადები და გამაფრთხილებელი ნიშნები
10.11 ამწეები მუხლუხოზე და ბორბლებზე
10.12 მძიმე მექანიზმები
10.13 ავტომობილების მართვა და უსაფრთხოების ზომები
10.14 პორტატული კიბეები
10.15 აზბესტთან მუშაობა
10.16 ხარაჩოები
10.17 ტოქსიკური ნივთიერებები
10.18 შეზღუდულ ადგილზე შესვლა
10.19 სამუაო ადგილის სისუფთავე, დაცურება და ვარდნა
10.20 ვარდნილი საგნები ან მასალები
10.21 საშემდუღებლო და საჭრელი სამუშაოები
10.22 პორტატული ხელსაწყოები
10.23 მექანიზირებული ხელსაწყოები
10.24 ტვირთის ხელით აწევა და ტარება
10.25 ხანძარი
10.26 პირველადი დახმარება
10.27 ინციდენტები და საფრთხეები
11. გარემოსდაცვა

1. გეგმის მიზანი

ამ დოკუმენტის მიზანია ჯანმრთელობისა, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემის და პრინციპული მოსაზრებების აღწერა, რომლებიც უნდა მიესადაგოს სოფელ ხოვლევის სკოლის პროექტის ყველა ფაზას: დიზაინი, უზრუნველყოფა, კონტრაქტები, მშენებლობა, დაკომპლექტება, საწყისი და პირველი სამუშაო.

ჯანმრთელობისა, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის -ის ძირთადი დებულებებია:

- ჯანმრთელობისა, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის რისკების გამოვლენა, თავიდან აცილება და მინიმიზირება, ყველ პიროვნებისა და აღჭურვილობის მიმართ რომლებიც პროექტის მოქმედების გავლენის სფეროში მოხვდებიან;
- ჯანმრთელობისა, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოქმედების გაუმჯობესების პროცესის შენარჩუნება და გაგრძელება;
- კონტრაქტორის უზრუნველყოფა ინსტრუქციით EMIS-ის პოლიტიკისა და ჯანმრთელობისა, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის მოთხოვნების მისადაგების შესახებ;

2. ჯუგ პოლიტიკა

– ნული უბედური შემთხვევა
– არა მიაყენოს ზიანი ხალხს
– არა მიაყენოს ზიანი გარემოს
– გამჭირვალობა და თანამშრომლობა საზოგადოებასა და მთავრობასთან
– ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

3. სამუშაო ძალა

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს გამოცდილი და კვალიფიცირებული კადრები სამუშაოების საწარმოებლად. სამუშაოთა ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს რომ სამუშაოში ჩართული ყველა პიროვნება გაცნობილია და პასუხობს პროექტის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის გეგმას.

4. პროექტის პერსონალი

- პროექტის მენეჯერი,
- უბნის უფროსი,
- მშენებლობის ზედამხედველი,

- მექანიკოსები,
- ელექტრიკოსები,
- მძღოლები.
- ოპერატორები,
- ბეტონის სპეციალისტები,
- დამხმარე მუშა-ხელი

5. პროექტის აღჭურვილობა

- დიზელ-გენერატორი
- ჰაერის კომპრესორი
- სანგრევი ჩაქუჩები
- შესადუღებელი მოწყობილობები
- ამწეკრანი
- ბულდოზერი
- პნევმოსატკეპნი
- გლუვი სატკეპნი
- სატვირთო ავტომანქანა
- ასფალტის დამგები
- ექსკავატორები
- თვითმცლელები
- ბეტონის მიქსერები
- ავტობუსები
- მსუბუქი ავტომანქანები
- ელექტროხელსაწყოები
- ჩაქუჩები, ხერხები, ნიჩბები, ა.შ.

6. პასუხისმგებლობა

უბნის უფროსი, მშენებლობის ზედამხედველი ვალდებულია:

უზრუნველყოს პერსონალის უსაფრთხო მუშაობა

გამოიძიოს ყოველგვარი შემთხვევა მომხდარი სამუშაო ობიექტზე.

უსაფრთხოება ყველა პიროვნების უპირველესი მოვალეობაა.

7. რისკის შეფასება და მენეჯმენტი

რისკის შეფასება და მენეჯმენტი საკვანძო პროცესია, ის არის ცენტრალური საკითხი პროექტის ჯუგ მიზნების და შედეგების განხორციელების საქმეში. საფრთხის და მის მიერ გამოწვეული შედეგის მართვა იქნება სისტემატიურად წამყვანი საკითხი, იმისათვის რომ დარწმუნებული ვიყოთ – პროექტის დიზაინი, მშენებლობა, მოწყობა მისცემს საშუალებას, რომ უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, გარემოს დაცვა და სხვა გამოკვლეულ იქნას პროექტის მუშაობის პროცესის დროს.

საფრთხის მართვის პროცესი ფუნდამენტურია, რადგანაც საფრთხით გამოწვეული შედეგები და მოვლენები ახდენენ გავლენას სამუშაო პროცესზე და იწვევენ სხვა ბევრ პროცესებსაც.

ადრეულ პერიოდში, კონტრაქტის გაფორმების საფეხურზე ჯუგ-ის რისკის შეფასება მოახდენს მოსალოდნელი საფრთხის იდენტიფიკაციას. ასეთი ანალიზით რისკ-ფაქტორის შემცირების გაზომვა შემდგომ განსაზღვრავს სამუშაო მეთოდების და სხვა სახის მოღვაწეობის დაგეგმის საშუალებას.

8. ტრეინინგი

საქმიანობის სფერო მოიცავს პროექტების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სწავლების ფართო სპექტრს, რომელიც შედგენილია პროექტთან ასოცირებული ყველა პირისათვის.

არც ერთ თანამშრომელს არ აქვს მუშაობის უფლება სპეციალური სწავლების გარეშე. აღნიშნული სწავლება დოკუმენტირებული უნდა იყოს კომპეტენტური პირის მიე4

9. კომპეტენტური პირი

კომპეტენტური პირი – ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია მუშაობის პირობებში ან გარემოცვაში არსებული ან მოსალოდნელი ხიფათის იდენტიფიცირება. მას უნდა ქონდეს უფლება მიიღოს დროული და სწორი გადაწყვეტილება ხიფათის თავიდან ასაცილებლად. კომპეტენტურ პირს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სპეციალური ცოდნა შემდეგი თემების:

–სამუშაოს შესრულება, ანალოგიური ქმედება.

–ოპერაციები და სპეციფიური დანადგარების გამოყენება.

–პოტენციური ხიფათები, რომელიც კავშირიშია

სპეციფიურ სამუშაოსთან.

–უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ნორმები.

10. პროცედურები

10.1 სამსახურებრივი ქმედება

ზედამხედველები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან წარმართულ საქმიანობებზე ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამუშოას ყოველდღიური უსაფრთხოება, მართვის თავიანთ უბნებზე. კარგი სამსახურებრივი ქმედება ყოველთვის უნდა შენარჩუნებული იქნას. დაქვემდებარებაში, მყოფნი ვალდებულნი არიან ნებისმიერ დროს სამუშაო ადგილის წესრიგი უზრუნველყონ.

10.2 პირადი დაცვის აღჭურვილობა

როგორც თქვენთვის ცნობილია, ყველა იმ პირის უსაფრთხოებას, ვინც დაკავშირებულია ამ პროექტთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და პროექტის შესაბამისად ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის გეგმის მიხედვით ეს შენიშვნა წარმოადგენს ჩვენს პოლიტიკას პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების სფეროში.

ეს პოლიტიკა მკაცრად უნდა იყოს დაცული პროექტით მოცულ ყველა ადგილას, სადაც არსებობს რაიმე რისკი მასალების მოძრაობის, ან მშენებლობის გამო.

ყველა პირი, რომელიც იმყოფება "სამუშაო არეში" ვალდებულია ყოველთვის ატაროს პირადი დაცვის, როგორც მინიმუმ, შემდეგი საშუალებები:

- უსაფრთხოების ჩაფხუტი
- უსაფრთხოების ფეხსაცმელი ფოლადის ჩაჩით ფეხის თითებისათვის
- თვალების დამცავი საშუალება (მხოლოდ მითითებულ ადგილებში)
- სამუშაო კომბინიზონი ან ამრეკლი ჟილეტი
- ყურის დამცავი საშუალება (მხოლოდ მითითებულ ადგილებში)

სხვა აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა განსაკუთრებული სამუშაოების შესასრულებლად დადგინდება რისკის შეფასების პროცესში და იქნება რეკომენდებული ინსტრუმენტთა ნაკრების შესახებ მოლაპარაკებების დროს და/ან უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ ბრიფინგებზე.

არ არსებობს რაიმე გამონაკლისი ამ პოლიტიკიდან

10.3 სმენის დაცვა

გაგრძელებულმა მაღალმა ხმაურმა შეიძლება მუდმივი ზიანი მოუტანოს სმენით უნარს. სმენის დამცავი უნდა გამოიყენებოდეს შესაბამის ადგილებზე და სადაც ადგილი აქვს ხმაურის მაღალ დონეს, მაგალითად კომპრესორებთან და მექანიზირებულ ინსტრემენტებთან სიახლოვე.

– ყოველთვის ატარეთ სმენის დამცავები და დარწმუნდით რომ იგი სათანადოდ არის მორგებული.

– ყოველთვის ისარგებლეთ სმენის დამცავებით, ვიდრე ხმაურიან ადგილზე შეხვალთ.

.– არასოდეს გამოიღოთ სმენის დამცავები ხმაურიან ადგილზე.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.4 ვარდნისგან დაცვა

ვარდნისგან დაცვის პერსონალური სისტემები:

–უნდა გამოიყენებოდეს ტანზე მორგებული უსაფრთხოების ღვედები. ჩვეულებრივი უსაფრთხოების ქამრების გამოყენება დაუშვებელია.

– გამოყენებული უნდა იქნას კაუჭები ჩამკეტით.

– ანკერები უნდა უძლებდეს 2.275 კგ-ს.

მუშისთვის რომელიც იმყოფება 2 მეტრის ან მეტ სიმაღლეზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

– მოაჯირები

– უსაფრთხოების ბადე ან ვარდნისგან დაცვის პერსონალური სისტემები

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.5 მოაჯირები

ზედა ძელი: სამუშაო დონიდან 107 სმ-ით მაღლა(+/- 7 სმ სხვაობა).

შუა ძელი: მოაჯირის ზედა კიდესა და სამუშაო დონის შორის

უნდა იყოს გამძლე და არ მოძრაობდეს გარეთა ან ქვედა მიმართულებით თუ მას მიეყრდნობა ან დაეყრდნობა 91 კგ. წონის მქონე ადამიანი.

იატაკის და ჭერის ღიობები:

ღიობები დაცული უნდა იყოს სდანდარტული ძელებით და ფიცრებით, რათა მიყრდნობის შემთხვევაში გაუძლოს 90 გკ. წონის მქონე ადამიანს.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.6 ენერგიის იზოლაცია

ენერგოსისტემის ნებისმიერი იზოლაცია: მექანიკური, ელექტრული, ტექნიკური, ჰიდრავლიკური და ა.შ., არ შეიძლება იქნეს გამოყენებული უსაფრთხოების შემდეგი ნორმების გათვალისწინების გარეშე:

– სამუშაოს უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებელი კომპეტენტური პირი (პირები)

– სამუშაოს ჩატარებამდე გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა ის პირი, ვისაც უშუალო კავშირი აქვს აღნიშნულ სამუშაოსთან.

– იზოლაციის და ენერგიის განტვირთვის მეთოდი შეთანხმებული და განხორციელებული უნდა იყოს კომპეტენტურ პირებთან.

– ჩატარდეს ენერგიის განტვირთვა.

– მუშაობის დაწყებამდე ჩატარდეს იზოლაციის ეფექტურობისათვის განმსაზღვრელი ტესტი.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.7 ნიადაგის ექსკავაცია და გათხრა.

მოცემული პროცედურა გამოიყენება, როდესაც ექსკავაციური მუშაობა მიმდინარეობს 1,2-6 მეტრის სიღრმეზე. არ არის გათვალისწინებული ექსკავაციის მუშაობის ჩატარება 6 მეტრ სიღრმეზე მეტად. თუ ექსკავაცია აღემატება ექვს მეტრს, საჭიროა სპეციალური რისკის შეფასება მუშაობის დაწყებამდე.

არ შეიძლება განხორციელდეს სამუშაოები, უსაფრთხოების გარკვეული ზომების მიღების გარეშე:

– რისკის პროცენტის შეფასება სამუშაო მოედანზე უნდა ჩატარდეს კომპეტენტური პირების მიერ.

– ყველა ხიფათი, რომელიც დაკავშირებულია მიწისქვეშა სამუშაოებთან, მილების, ელექტროკაბელების და ა.შ. გაყვანასთან, უნდა იყოს ინდეტიფიცირებული, აღმოჩენილი და აუცილებლობის შემთხვევაში ლიკვიდირებული.

– აუცილებელია ნიადაგის გადაადგილების კონტროლი

– უნდა ჩატარდეს ნიადაგის და გარემოს მდგომარეობის მრავალმხრივი მონიტორინგი.

– უნდა დაამონტაჟდეს, კიბე ან რაიმე სხვა საშუალება, თხრილში თავისუფლად ჩასვლა

ამოსვლისათვის.

–არცერთ თანამშრომელს არ არაქვს უფლება იმუშაოს ექსკავაციაში, როდესაც იქ გროვდება ან დაგროვდა წყალი. ესეთ პირობებში მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებულია უსაფრთხოების ზომები.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.8 ჰაერის კომპრესორები

მოცემული პროცედურა გამოიყენება, როდესაც ჰაერის კომპრესორთან.

ყოველდღიურად უნდა შემოწმდეს ჰაერის კომპრესორი და ყველა შეერთებები მუშაობის დაწყებამდე. გამოიყენეთ მხოლოდ ვარგისი მოწყობილობები.

ყოველდღიურად უნდა შემოწმდეს შლანგების მდგომარეობა. გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ის შლანგები, რომლებიც განკუთვნილია კომპრესირებადი ჰაერისათვის. შლანგების გამოყენების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

– სისტემის აწყობამდე შემოწმდეს ყველა შლანგი, რომ არ გაგეპაროთ რაიმე დაზიანება.

– არ შეიძლება დაპრესილი შლანგების გამოყენება.

– იმ შემთხვევაში, როდესაც აპარატურას გააჩნია სხრაფად ცვალებადი კონექტორები (შიდა საკონტროლო სარქველებით), დარეგულირების დაწყებამდე გადაკეტეთ ჰაერი ჰაერმიმწოდებელ სარქველებში.

– ყველა შლანგი უნდა აღიჭურვოს დამცავი მოწყობილობით (გადამეტებული ნაკადის სარქველი), და უსაფრთხოების ჯაჭვებით.

– კომპრესირებელი ჰაერის აპარატურა და მოწყობილობა გამოსცემს ხმაურს. ამისათვის საჭიროა ხმაურისაგან დამცავი საშუალებების ხმარება.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.9 პნევმატური ინსტრუმენტები და მოწყობილობა.

პნევმატური ინსტრუმენტებით უნდა ისარგებლოს მხოლოდ კარგად განსწავლულმა პერსონალმა. დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების შემდეგი წესები:

– სისტემის ჩართვამდე უნდა შემოწმდეს შლანგების დაზიანებები და არასწორი შეერთებები.

– შეერთებამდე შლანგში გაატარეთ ჰაერი. შემაერთებელს თუ რეზინის პლომბი აქვს, მოხსენით და შეერთების მერე ისევ დააყენეთ.

– შეერთების ადგილები მოუჭირეთ ჩაქუჩით, ხელით არ მოუჭიროთ. სპეციალური კავშირებით აღჭურვილი შლანგები მოითხოვენ განსაკუთრებულ მოჭერას, ან მოწყობილობას. შემდეგია იმ სახის კავშირები, რომელთა მოჭერაც ხდება ქანჩის გასაღებით და არა ხელით.

– არ შეიძლება პნევმოსარქველის ჩართვა შლანგის შეერთების საიმედოობის შეუმოწმებლად..

– არ მიმართოთ საჰაერო შლანგი ხალხისკენ.

– შეკუმშული ჰაერი არ უნდა იქნას გამოყენებული გასასუფთავებლად.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.10 ბარიკადები და გამაფრთხილებელი ნიშნები

მოცემული პროცედურა ხელმძღვანელობს მშენებლობის, ბარიკადების მოწყობას, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებას, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე უსაფრთხო სამუშაო მოღვაწეობას.

ბარიკადები და დაბრკოლებები

ბარიკადები და ფიზიკური ბარიერები აუცილებლად უნდა განლაგდეს ესკავაციის ადგილებში, კედლებზე, სახურავებზე, პლატფორმების კიდეებზე, სიმაღლეზე მუშაობის ან სხვა ადგილებზე, სადაც აუცილებელია გავაფრთხილოთ თანამშრომლები ხიფათის თავიდან აცილების მიზნით.

გამაფრთხილებელი დაბრკოლებები

მოცემული დაბრკოლებები არ ითვალისწინებს ფიზიკურ დაცვას, მაგრამ წარმოადგენენ გამაფრთხილებელ ნიშანს, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ხიფათისაგან იცავს თანამშრომლებს. მაგალითად: გამაფრთხილებელი დაბრკოლებები, წითელი ლენტი, უნდა მდებარეობდეს მინიმუმ 1,5 მ ხიფათის ადგილისაგან. თუ არ არის იმის საშუალება, რომ დავიცვათ 1,5 მ ნორმა, აუცილებელია დამცავი დაბრკოლებების გამოყენება.

მაშველი აპარატურა (ცეცხლჩამქრობი) არ უნდა იყოს ბლოკირებული დაბრკოლებით.

ბარიერები და დაბრკოლებები არ უნდა ბლოკავდნენ ხანძარს საწინააღმდეგო შესასვლელგასასვლელს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბრკოლება შედგება წვეტიანი ჯოხების, რკინების და ა.შ., აუცილებელია წვეტების დაფარვა სპეციალური სახურავებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოაღნიშნული ნიშნები, - ბარიერები, დაბრკოლებები, ღობეები, ბარიკადები ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ დაცვას, აუცილებელია მედროშის ამუშავება,

რომელიც ჩაცმული იქნება კაშკაშა ღია ფერის ქურთუკში. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაობაში მონაწილეობს ამწეს ოპერატორი ან მუშაობა მიმდინარეობს ხალხის მოძრაობის ან საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, მედროშეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამატებითი გამაფრთხილებელი აღჭურვილობა. ეს პიროვნება სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული, რათა სწორად გამოიყენოს ნიშნები და დროშები. მუშაობის დაწყებამდე მან აუცილებლად უნდა შეამოწმოს ტერიტორია, რათა დარწმუნდეს, რომ იქ არავინ არ იმყოფება.8

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.11 ამწეები მუხლუხოზე და ბორბლებზე

ყველა ამწე უნდა იყოს ინსპექტირებული კომპეტენტური პირის მიერ უშუალოდ მუშაობის დაწყების წინ. ამწეების ყველა ოპერატორი უნდა იყოს კვალიფიცირებული და გამოცდილი მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო ოპერაციებს ამწეზე მუშაობის დროს. ამწეს კაბინაში, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები უნდა ინახებოდეს ისე, რომ არ გიშლიდეს ხელს მუშაობაში, ინსტრუმენტები, ზეთის ბიდონები, სათადარიგო ნაწილები და სხვა აუცილებელი ნივთები უნდა ინახებოდეს სპეციალურ ყუთში. არასაჭირო ნივთები კაბინაში არ უნდა იყოს.

ამწეზე მუშაობის დაწყებამდე ოპერატორი ვალდებულია ვიზუალურად დაათვალიეროს სამუშაო ადგილი, რათა არ გამოეპაროს რაიმე არასასურველი დეტალი, რაიმეს აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ზედამხედველს რათა გამოსწორებულ იქნას ნაკლოვანება. აუცილებელია ხელით ნიშანის მიცემის ცოდნა და გამოყენება ამწეზე მუშაობის პროცესში. ხელით ნიშნების მიცემა შეუძლიათ მხოლოდ ერთ კვალიფიცირებულ პიროვნებას. ოპერატორმა უნდა შეამოწმოს ყველა საკონტროლო ადგილი ამწეზე მუშაობის დაწყებამდე, რომ დარწმუნდეს მუშაობის უსაფრხოებაში,

ოპერატორი, რომელიც მუშაობს ამწეზე ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესების მინიმალური ნორმები:

– დაამყაროს კონტრაქტები ვიზუალური, ხმოვანი კვალიფიცირებულ პირთან, რომელიც მიაწვდის მას სიგნალებს. თუ კონტაქტი შეწყდა, ოპერატორი ვალდებულია შეწყვიტოს მუშაობა.

– აუცილებელია განსაკუთრებულაი ყურადღებია ამწის ტვირთით მოძრაობის მიმართ.

– ამწის ტერიტორიაზე შემოსვლამდე უნდა შემოწმდეს ნიადაგის მდგომარეობა, თუ

რამდენად მყარია იგი.

– დარწმუნდით ჯალამბარის ხაზის ვერტიკალურობაში.

– შემოიფარგლეთ მუშაობის რადიუსი და გამოფინეთ წარწერები “ფრთხილად! გაეცალეთ!”.

– ყოველთვის იყავით დარწმუნებული ტვირთის რადიუსში.

– დარწმუნდით, ამწის კაუჭებზე განლაგებული დამცავი დეტალების კარგ მუშა მდგომარეობაში ყოფნაში და გამოიყენეთ ისინი დანიშნულებისამებრ.

– იმოქმედეთ დამამზადებლის ინსტრუქციის მიხედვით კაბინაში შესვლის და გამოსვლის დროს. ერთადერთი ალტერნატივაა, სწორი კიბის გამოყენება, რომელიც მიბმულია ამწეზე.

– ყველა ოპერატორი უნდა ატარებდეს უსაფრთხოების ღვედებს.

– როდესაც ამწეები არ მუშაობენ, ისინი მოშორებით უნდა იდგნენ მშენებლობისაგან, გამოსასვლელ დღეებში და დამე ჯალამბარი უნდა იყოს დაშვებული.

– თუ ქარის სიჩქარე აღემატება 40 კმ/სთ ამწეზე მუშაობა უნდა შეჩერდეს.

– ოპერაციის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ამწეს კუთხე შეადგენს 1%.

– კონტროლი არ შეასუსტოთ, მაშინაც კი, როდესაც სამუშაო დროებით შეჩერებულია.

– დარწმუნდით, რომ ტვირთის გადატანის დროს, ტვირთის ქვეშ არავინ არის, ან ახლოს არავინ არ მოძრაობს.

– აკრძალულია უცხო პირების კაბინაში შესვლა, როდესაც ამწე მუშაობს.

– ისე გააკეთეთ, რომ დატვირთვის ტერიტორიის არე იყოს მხედველობისათვის ადვილი.

– გაანთავისუფლეთ გზა.

– გაითვალისწინეთ დამამზადებლის რეკომენდაციები მინიმალური და მაქსიმალური სიგრძის მაჩვენებლებისათვის.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.12 მძიმე მექანიზმები

– მძიმე მექანიზმებს უნდა ჰქონდეს სარკეები, განგაშის საყვირები და ა.შ. რათა გააფრთხილოს მომუშავეები.

– ყველა პერსონალი უნდა იყოს საქმის კურსში მძიმე მექანიზმების მოძრაობაზე.

– არ დაჯდეთ და არ დაისვენოთ ზემოხსენებულ მექანიზმებთან.

– არ სცადოთ ამ მექანიზმების მართვა, თუ სათანადო კვალიფიკაციას არ ფლობთ.

– ყოველთვის ოპერატორის თვალთახედვის არეში იყავით.

– არ მისცეთ მინიშნება მძიმე მექანიზმს, თუ თქვენ საამისო კვალიფიკაცია არ გაგაჩნიათ.

– არ მოხვდეთ ამწეების ან ძრავის მოქმედების რადიუსში.

– ყოველთვის დადგით ამწეები სტაბილურ მიწაზე.

– მძიმე მექანიზმებს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რათა მოახდინოს ტვირთის მარშრუტის ფიქსირება, როგორც მისი გადატანა ასევე გადმოტანა.

– არ დაიშვებინ მექანიზმზე მგზავრები, რამდენადაც ყველა პირს თავისი შესაბამისი მოვალეობა აკისრია.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.13 ავტომობილების მართვა და უსაფრთხოების ზომები

მოცემული პროცედურის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს საავტომობილო უბედური შემთხვევები ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის, იმისათვის უზრუნველყოს ყველა თანამშრომელი და საზოგადოება აიცილოს დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია დაზიანებებთან და მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოების დანახარჯებს, სამედიცინო მრომსახურებას, ფიზიკურ ზარალს.

სატრანსპორტო საშუალების გამოყენების დროს, რომელიც კავშირშია პროექტთან, თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სახელმწიფო და ადგილობრივი წესები და კანონები. მოცემული პირობა ასევე გულისხმობს ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებას და შენახვას.

სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მიეკუთვნებიან პროექტს, უნდა იყვნენ ოპერირებული მხოლოდ კომპანიის თანამშრომელების მიერ, რომლებსაც აქვთ მართვის მოწმობები და პროექტით გათვალისწინებული უფლება ატარონ სხვადასხვა სახის ტრანსპორტი. მძღოლები უნდა იყვნენ კომპეტენტურები, მომზადებულები, გამოცდილები და გამოწრთობილები სატრანსპორტო საშუალებების ტარებაში.

მძღოლები აუცილებლად უნდა მოქმედებდნენ მოძრაობის უსაფრთხოების კოდექსის მიხედვით. არასდროს არ უნდა გადააჭარბონ სიჩქარის ნორმას. უსაფრთხოების ღვედები უნდა იყოს გამოყენებული მანამდე, სანამ ტრანსპორტი მოძრაობაშია.

აკრძალულია ტრანსპორტის გადაადგილება, ტექნიკური გაუმართობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც სახიფათოა მოძრაობის დროს. არ არის რეკომენდირებული სიბნელის დროს მოძრაობა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.14 პორტატული კიბეები

ეს პროცედურა უზრუნველყოფს პორტატული კიბეების სწორ გამოყენებას, ისნპექტირებას და თანამშრომელთა უსაფრთხოებას.

მზედამხედველი პასუხისმგებელია შეამოწმოს, რომ ყველა პორტატული კიბე, რომელსაც იყენებს მუშა, არის სწორედ გამართული და უსაფრთხო მდგომარეობაში.

სამშენებლო ტერიტორიაზე მოტანილი ახალი კიბეები უნდა იქნეს კარგად ინსპექტირებული კომპეტენტური პირის მიერ და მის მიერვე დამტკიცებული კიბის ვარგისიანობაში.

როცა მუშა ადის ან ჩამოდის ასეთ კიბეზე, ის სახით უნდა იყოს მიმართული კიბისაკენ და ხელით უნდა ეჭიდებოდეს მოაჯირს. ამ დროს ის არ უნდა მუშაობდეს ორივე ხელით, კიბე ისე არ უნდა იყოს მოწყობილი, რომ არსებობდეს დაცურების რისკი და აგრეთვე ასეთი კიბე კარგად უნდა იყოს დაბმული ან მეორე მუშა უნდა აზღვევდეს მას. კიბე არ უნდა იყოს გამოყენებული ჰორიზონტალურ პლატფორმად და ასევე კიბე არ უნდა იყოს გამოყენებული ერთზე მეტი მუშის მიერ ერთი და იმავე დროს.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.15 აზბესტთან მუშაობა

მოცემული პროცედურის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს აზბესტთან მუშაობის რისკები.

მოგეხსენებათ, რომ აზბესტი ადამიანის ჯამრთელობისათვის მავნე ნივთიერებაა, აზბესტთან მომუშავე ადამიანების პროფესიული დაავადებაა აზმესტოზი.

აზბესტის გამოყენება უკვე ამოღებულია მსოფლიოს უმეტეს ნაწილში.

კონკრეტული ობიექტიდან აზბესტის გადახურვის მოხსნის სამუშაოების დროს მინიმალური პირადი დამცავი აღჭურვილობასთან დამატებით გამოყენებული უნდა იყოს მტვერის ნიღაბი, დახურული სათვალეები (გუგლები), თყვეკ ერთჯერადი კომბინიზონი.

აზბესტის გადახურვის მოხსნის დაწყების წინ უნდა მოხდეს ზედაპირის დასველება, რადგან თავიდან ავიცილოთ ბოჭკოების გაბნევა, მოხსნა უნდა მოხდეს დიდი სიფრთხილით და სქელ პოლიეთილენში კარ ად შეფუთული დასაწყობდეს სპეციალურად მოწყობილ შემოღობილ

ადგილზე.საბოლოოდ გატანილ იქნას წინასწარ შეთანხმებულ და დამტკიცებულ სანაგვეზე და ჩაიმარხოს 1,5-2 მ–ის სიღრმეზე.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.16 ხარაჩოები

ამ პროცედურაში მოცემულია ხარაჩოების მშენებლობის, შემოწმების და გამოყენების ინსტრუქციების შესრულება, რაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებს.

ხარაჩოს აღმართვა, გადატანა, მოდიფიკაცია, დაშლა (დემონტაჟი), სრულდება გამოცდილი პერსონალის ან კომპეტენტური ზედამხედველის საშუალებით. არაკომპეტენტური პირის მიერ ხარაჩოს აღმართვა, მოდიფიკაცია სასჯელს ექვემდებარება.

გადმოვარდნის შემაკავებელი სისტემები გამოიყენება ხარაჩოების აღმართვის, მოდიფიკაციის ან დემონტაჟის დროს.

ხარაჩოს უნდა ჰქონდეს ხელმოსაკიდი

ზედა ძელი: სამუშაო დონიდან 107 სმ-ით მაღლა(+/- 7 სმ სხვაობა).

შუა ძელი: მოაჯირის ზედა კიდესა და სამუშაო დონის შორის

უნდა იყოს გამძლე და არ მოძრაობდეს გარეთა ან ქვედა მიმართულებით თუ მას მიეყრდნიბა ან დაეყრდნობა 91 კგ. წონის მქონე ადამიანი.

იატაკის და ჭერის ღიობები:

ღიობები დაცული უნდა იყოს სდანდარტული ძელებით და ფიცრებით, რათა მიყრდნობის შემთხვევაში გაუძლოს 90 გკ. წონის მქონე ადამიანს.

სასურველია ხარაჩოს ჰქონდეს ძირითი შემოფიცრული (10 სმ) არ მოხდეს საგნების ან სამუშაო ინსტრუმენტების სიმაღლიდან ვარდნა.

ხარაჩოების აგების ან მათი დემონტაჟის დროს საჭიროა ყველა კომპონენტის შემოწმება.

ხარაჩოების საფეხურები უნდა იყოს სწორი, არ უნდა იყოს დრეკადი, ჩაღრმავებული .

დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა კომპონენტების შეცვლა. თუ ხარაჩოების სიმაღლე სამჯერ აღემატება ფუნდამენტის ზომებს (8 მეტრი), მაშინ საჭიროა მისი გამაგრება რაიმე აღჭურვილობით, რყევის აცილების მიზნით. მოძრავი ხარაჩოს გამყარება შესაძლებელია ჰორიზონტალურად, ყოველ 9 მეტრში.

ხარაჩოს ფეხები ან საყრდენი უნდა იყოს მყარი, მტკიცე და გათვალისწინებულ სიმაღლეზე

ოთხჯერ მეტი ტვირთის ამტანი, მორყევის ან გადანაცვლების დაფიქსირების გარეშე, აკრძალულია არამყარი საშუალებების გამოყენება საყრდენად, როგორიცაა კასრები, ყუთები, აგურები ან ცემენტის ბლოკები. რეკომენდებულია ხარაჩოს ბალანსის მისაღწევად ფუნდამენტის ფილების ან ქარხნული სადგამების გამოყენება.

ხარაჩოს აშენების ან მოდიფიკაციის შემდეგ ხდება ხარაჩოს შემოწმება კომპეტენტური პირის მიერ.

ხარაჩოების ყოველდღიური შემოწმება აგრეთვე შესაძლებელია ზედამხედველი ხელოსნის მიერ.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.17 ტოქსიკური ნივთიერებები

ყველაზე დიდი რაოდენობით ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც საღებავებში და დასაგრუნტ საშუალებებშია არის გამხსნელები. სხვა ტოქსიკური ნივთიერებებია პიგმენტები (ტყვია), შემკვრელები (ეპოქსიები, პოლიესტერები) და დანამატები (ორგანოტინი). აგრეთვე, გაწმენდისა თუ შეღებვის დროს წარმოქმნილ მტვერსაც შეუძლია ტოქსიკური ნივთიერებების გავრცელება. ისინი ორგანიზმში აღწევენ ფილტვებით (სუნთქვისას), საკვებით ან კანის საშუალებით. გამხსნელების უმრავლესობა ტოქსიკურია გარკვეული რაოდენობით. ტოქსიკურობის დონის დადგენა შესაძლებელია მასალათა უსაფრთხოების სერთიფიკატი (MSDS) რაც თან უნდა მოყვებოდეს ყველა სახიფათო მასალას.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.18 შეზღუდულ ადგილზე შესვლა

ნებისმიერ შეზღუდულ ადგილზე შესვლა არ წარიმართება თუ არ იქნება უზრუნველყოფილი შემდეგი:

– გამორიცხულ იქნა ყველა სხვა საშუალებები და აუცილებელია შეზღუდულ ადგილზე შესვლა.

– უზრუნველყოფილია შესვლის და გამოსვლის ადეკვატური წყაროები

– სამუშოას შესასრულებლად ყველა სამუშაოში ჩართული პირი კომპეტენტურია.

– სარეზერვო პირის ადგილზე იმყოფება და მაშველი თოკი უზრუნველყოფილია.

– აკრძალულია არასანქცირებული შესვლა.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.19 სამუაო ადგილის სისუფთავე, დაცურება და ვარდნა

ამ პროცედურაში მოცემულია დაცემა, ვარდნის თავიდან აცილების პრინციპები. უდიდეს წვლილს, რაც შეიძლება გაიღოთ მსგავსი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, წარმოადგენს თქვენი სამუშაო ადგილის სუფთა, მოწესრიგებულ მდგომარეობში შენარჩუნება.

– ყოველთვის უზრუნველყავით სამუშაო ადგილის მოწესრიგება. თუ რაიმე დაგექცათ, დაუყოვნებლივ გაწმინდეთ.

– ყოველთვის გამოიყენეთ სათანადო ბილიკები და მარშრუტები. ყოველთვის ისარგებლეთ ხელმოსაკიდით.

– ყოველთვის ატარეთ შესაფერისი დამცავი ფეხსაცმელი.

– ყოველთვის გააკეთეთ განაცხადი რაიმე დაზიანების აღმოჩენისას იატაკის ზედაპირზე, მოაჯირებზე, ღობეებზე და ბარიერები. სწრაფ გამოხმაურებას შეუძლია ვარდნის თავიდან აცილება.

– შეეცადეთ გააუვნებელყოთ საფრთხე, სანამ შეტყობინებას გააკეთებდეთ; თუ ამას საკუთარი თავისთვის რისკის მოტანის გრეშე გაართმევთ თავს.

– ყოველთვი დარწმუნდით, რომ ნებისმირი დროებით გახსნილი ბილიკი შესაბამისადაა დაცული.

– არასოდეს დატოვოთ საგნები, მასალები სავალ გზაზე.

– არასოდეს იაროთ ბრმად, ყოველთვის დარწმუნებული იყავით, რომ ხედვის ხაზი თავისუფალია.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.20 ვარდნილი საგნები ან მასალები

მოცემული პროცედურის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს სიმაღლიდან ვარდნილი საგნების რისკის შემცირება.

სიმაღლეზე მუშაობისას საჭიროა უზრუნველყოფა, რომ მასალები ან მოწყობილობები არ ჩამოვარდეს სიმაღლიდან და არ შეუქმნას საფრთხე სხვა პირებს.

– სიმაღლეზე მუშაობისას ყოველთვის მოახდინეთ საგნების ბლოკირება და ქვემოთ უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

– უსაფრთხოებისთვის ყოველთვის იქონიეთ დალაგებული მასალები და მოწყობილობები,

რათა შემცირდეს უბედური შემთხვევების შესაძლებლობა.

– მოცემული ამოცანისთვის აუცილებელია და უფრო მნიშვნელოვანია ზედა სამუშაოების ქვევით წარმართული სამუშაოები, ვიდრე შესაბამისი ზედა დაცვის ადგილზე უზრუნველყოფა.

– უსაფრთხოების ჩაფხუტები, სათვალები და დამცავი ფეხსაცმელები სარგებლობაში უნდა იყოს ნებისმიერ დროს

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.21 საშემდუღებლო და საჭრელი სამუშაოები

მოცემული პროცედურის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს საშემდუღებლო და საჭრელი სამუშაოები ტექნიკასთან არსებული რისკები.

შედუღებისას ადგილი აქვს ორ ძირითად საფრთხეს. ცეცხლის აშკარა საშიშროება და ჯანმრთელობის შესაძლო დაზიანება ულტრაიისფერი სინათლის ანაორთქლით, ელექტრო ენერგიით. საშემდუღებლო ოპერაციები მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს.13

– ყოველთვის გაასუფთავეთ სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი ადგილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული წვის თვისების მქონე მასალების შემთხვევითი აალება და ასევე უზრუნველყავით გამვლელთა და თანამომუშავეთა დაცვა.

– ყოველთვის დარწმუნდით, რომ ხელთ გაქვთ ცეცლჩამქრობი და ასევე იცით მისი გამოყენება

– ყოველთვის ისარგებლეთ თვალის შესაბამისი დამცავით და დამცავი ტანისამოსით.

– ყოველთვის უზრუნველყავით ბალონების უსაფრთხო ადგილებზე ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა. უმჯობესია სწორად დადგმულ მისაბმელზე.

ელექტროშესადუღებელი კომპლექტი უნდა განთავსდეს უსაფრთხო ადგილას.

– ყოველთვის უზრუნველყავით აირის მილების და ელექტროშედუღების მავთულების, რაც შეიძლება, მოკლე სიგრძე და არ დაუშვათ, რომ მათ დაბრკოლება შეუქმნან სავალ გზას ან მოხდეს მათი გადახლართვა.

– ყოველთვის შეამოწმეთ ყველა მოწყობილობა, კაბელები და მილები –გამოყენებამდე და მოიცილეთ ყველა დეფექტის მქონე.

– ყოველთვის დარწმუნდით, რომ ადგილი აქვს შესაბამის ვენტილაციას.

– ყოველთვის დარწმუნდით, რომ მოწყობილობა სათანადოდ არის დამიწებული.

– არასოდეს დატოვოთ მუშა მდგომარეობაში მყოფი მოწყობილობა უყურადღებოდ.

– გაზის შესადუღებელი ყველა რეგულატორი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ალის უკუდარტყმის დამცავი მექანიზმებით.

– ყოველთვის გამორთეთ დიზელის/ ბენზინის საშემდუღებლო მექანიზმები საწვავით შევსების წინ.

– აირის ყველა ბალონს ჟანგბადისთვის და საწვავი გაზისთვის უნდა ჰქონდეს შესაბამისი ალის უკუდარტყმის დამჭერები.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.22 პორტატული ხელსაწყოები

მოცემული პროცედურის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს პორტატულ ხელსაწყოებთან არსებული რისკები.

დაშავების შემთხვევების უმრავლესობას, ხელის ხელსაწყოების შეუსაბამო გამოყენება და ან არასწორი შენახვა წარმოადგენს.

– ყოველთვის გამოიყენეთ მართებული ხელსაწყო სამუშაოებისთვის. არასოდეს გამოიყენოთ ქანჩ გასაღები ჩაქუჩისთვის ან სახრახნისი ძალაყინისთვის.

– ყოველთვის გამოიყენეთ ის ქანჩ გასაღები, რომელიც შეეფერება გაიკის ან ბოლტის თავს.

– ყოველთვის იქონიეთ ხელები ჭრის კუთხის უკან, როდესაც საჭრელ იარაღს იყენებთ.

– ყოველთვის იქონიეთ დანები, ღოჯები და სხვა ბასრი იარაღები უსაფრთხო ადგილას, და არავითარ შემთხვევაში არ ატაროთ ისინი ჯიბეში.

– ყოველთვის შეინახეთ იარაღები სუფთა და კარგ მდგომარეობაში- დაიცავით თავი ბასრი იარაღების კუთხეებიგან, როდესაც ახდენთ მათ გადატანას და შესანახად მოთავსებას.

– ყოველთვის ატარეთ შესაბამისი პირადი დსამცავი აღჭურვილობა, როდესაც გიხდებათ ჩამოჭრა, გახეხვა, ან ბეტონის შემოლესვა და ან იმის გათვალისწინებითაც თუ ადგილი აქვს მფრინავი ნაწილაკების ალბათობას.

– არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული ან გაცვეთილი ხელსაწყოები. მაგ. მოშვებული თავის მქონე ჩაქუჩები, ქლიბები, სოკოს მსგავსი თავის მქონე სატეხი, ქანჩ გასაღები და სხვანი.

– არასოდეს გამოიყენოთ ქლიბი ტარის გარეშე, რადგან მისი პირები სახიფათოა.

– არასოდეს მოათავსოთ მცირე ზომის ხელსაწყოები ღია მესერის იატაკზე, რამდენადაც ისინი შეიძლება ჩავადნენ და დააშავონ ვინმე. გამოყენების შემდეგ ისინი დააბრუნეთ

იარაღის ჩანთაში.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.23 მექანიზირებული ხელსაწყოები

მოცემული პროცედურის მიზანია მინიმუმამდე დაიყვანოს მექანიზირებულ ხელსაწყოებთან არსებული რისკები.

სანამ მექანიზირებულ ხელსაწყოებს გამოიყენებდეთ, დარწმუნდით, რომ ისინი კარგ მდგომარეობაშია. შეამოწმეთ კაბელი დაზიანებულ იზოლაციასა და დაკავშირებაზე. დაუკვირდით შესაბამის ნიშნებს, სიჩქარის ვარდნას ან არასწორ ხმაურს. თუ რაიმე ეჭვი გაგიჩნდებათ ხელსაწყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ აცნობეთ ზედამხედველს.

– ყველა პორტატული მექანიზირებული ხელსაწყო და მოწყობილობა, გამოყენებამდე უნდა იქნეს შესაბამისად შემოწმებული, გამოცდილი კომპეტენტური პირის მიერ.

– ყველა პორტატული მექანიზირებული ინსტრუმენტი და მოწყობილობა გამოყენებამდე მოსარგებლის ვიზუალური შემოწმების საგანი უნდა გახდეს.

– მექანიზირებული ინსტრუმენტების დამონტაჟება, შემოწმება და უზრუნველყოფა უნდა მოხდეს კვალიფიცირებული ელექტრიკოსის მიერ.

– ყოველთვის შესაფერისი ხელსაწყო გამოიყენეთ.

– ყოველთვის დარწმუნდით, რომ აპარატურას ემსახურება შესაბამისი ზომის კაბელი. თუ მოკლეა უზრუნველყავით მისი შესაბამისი კაბელი.

– ყოველთვის შეამოწმეთ ყველა დამაკავშირებლები საჰაერო კაბელი და დარწმუნდით რომ ისინი შესაბამისადაა დამონტაჟებული.

– ყოველთვის გამორთეთ ელექტრომოწყობილობები, როდესაც გსურთ ბურღების ან ხეხვის დისკების შეცვლა.

– შემდგომი გამოყენებისას ყოველთვის შეამოწმეთ, რომ პორტატული მხეხავი მანქანა უსაფრთხოა გამოყენებისთვის. შესაძლოა დაზიანდეს ბორბალი, და გამოიწვიოს დამტვრევა სიჩქარის აღებისას.

– ყოველთვის ატარეთ შესაფერისი თვალის / ყურის დამცავი, როდესაც იყენებთ მექანიზირებულ ხელსაწყოებს.

– ყოველთვის შეინახეთ ხელსაწყოები, კაბელები, უსაფრთხოდ და მოწესრიგებულად.

– არასოდეს აწიოთ ან გაითრიოთ ელექტრო ხელსაწყოები, თავიანთი კაბელებით.

– ყველა დამცველი ადგილზე უნდა იმყოფებოდეს და იყოს კარგ სამუშაო ფორმაში ყველა მექანიზირებულ პორტატული ხელსაწყოზე. ყველა ფიქსირებულ მექანიზირებულ ხელსაწყოს უნდა ჰქონდეს დამცველი/ ან იარაღები ინახებოდეს კარგ სამუშაო წესრიგში.

– მექანიზირებული ინსტრუმენტების შეკეთების უფლება მხოლოდ უფლებამოსილ და კომპეტენტურ პირს ეძლევა.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.24 ტვირთის ხელით აწევა და გადაადგილება

ტვირთის ხელით სწორი აწევით და გადაადგილებით შესაძლოა უამრავი დაშავების თავიდან აცილება. შემდეგი პრინციპების მიყოლა რისკის აცილებას უზრუნველყოფს:

–ყოველთვის შეაფასეთ ტვირთის წონა და ისარგებლეთ დახმარებით, თუ ეს თქვენს ძალებს აღემატება და სადაც საჭიროა ისარგებლეთ მექანიკური დახმარებებით.

– ყოველთვის შესაბამისად განსაზღვრეთ სამუშაო. თავიდან მოიცილეთ დაბრკოლებები და დარწმუნდით, რომ ის სივრცე ცარიელია სადაც უნდა მოთავსდეს ტვირთი. ეცადეთ, რომ ტვირთმა თვალთახედვის არე არ დააბრკოლოს.

აუცილებელია მუშაობის შეწყვეტა თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული მის უსაფრთხოებაში

10.25 სახანძრო უსაფრთხოება

ხანძრისგან დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს ყველა მომუშავისთვის. ხანძრის შემთხვევაში რისკის ქვეშ დგას – სიცოცხლე, სამუშაო და ფინანსური ზარალი. ყოველთვის უნდა იცოდეთ სახანძრო ინსტრუქციები და ასევე თავის შველის საშუალებები, საგანგებო მდგომარეობის გასასვლელები და ა.შ.სამშენებლო უბანი აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარ საწინააღმდეგო აღჭურვილობით (ცეცხლმაქრი, სტენდი)ყოველთვის დარწმუნდით რომ იცით ცეცხლმაქრის მდებარეობა და ასევე მისით სარგებლობა.არ დადოთ ბარიკადები საგანგებო გასასვლელ კართან, ცეცხლმაქრებთან.

10.26 პირველადი დახმარება

სამშენებლო ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.

10.27 ინციდენტები და საფრთხეები

ინციდენტი და საფრთხე დაუყოვნებლივ უნდა იყოს მოხსენებული ზედამხედველისთვის, რის საშუალებითაც, რათა მათი ხელახალი განმეორება იქნეს თავიდან აცილებული.

11. გარემოსდაცვა

კონტრაქტორი კომპანია უნდა ადემონსტრირებდეს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას მისი მართვის სახით, არ უნდა მოხდეს ნიადაგის ან წყალის დაბინძურება, გარემოზე ზემოქმედების შემცირებას ასევე ხელს შეუწყობს სწორი ქიმიური ნივთიერებების შერჩევა, გამოყენება და გაუნვნებელყოფა.

ნებისმიერი სამუშაოების დაწყებამდე თანამშრომლებს უნდა მიეწოდოთ იმფორმაცია პროექტის ფარგლებში ყველა გარემოსდაცვით საკითხებზე და მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე ამ კუთხით.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პოლიტიკაა,

რომ არ მიადგეს ზიანი გარემოს, ამიტომ რათა მოხდეს გარემოზე ზიანის შემცირება გასათვალისწინებელია შემდგომი :

– რაც შეიძლება ნაკლები ტერიტორიის გამოყენება.

– სამუშაო ობიექტის სისუფთავე

– ყველა წარმოქმნილი ნარჩენი უნდა სათანადოდ დასაწყობდეს და შემდგომ გატანილ იქნას წინასწარ შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე ან გასაუვნებელყოფელ ადგილზე.

– ყველა სახიფათო ნარჩენი სათანადოდ უნდა შეიფუთოს და დასაწყობდეს რათა არ მოხდეს ნიადაგის დაბუნძურება ხოლო შემდგომ გატანილ იქნას წინასწარ შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე ან გასაუვნებელყოფელ ადგილზე.

– უნდა მოხდეს ადგილობრივ ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შემცირება.

– ყველა ტექნიკა და აღჭურვილობა, რეგულარულად უნდა მიწმდებიდეს რათა არ მოხდეს ნავთობ პროდუქტების დაღვრა. თუ ასეთი აღმოჩენილ იქნა უნდა მოხდეს ტექნიკის დაუყოვნებელი შეკეთება, ვინაიდან თავიდან ავიცილოთ ნიადაგის ან წყლის დაბინძურება– ყველა ტექნიკა და აღჭურვილობა, რეგულარულად უნდა მიწმდებიდეს რათა არ ხდებოდეს ნავთობ პროდუქტების გაჟონვა, დაღვრა თუ ასეთი აღმოჩენილ იქნა უნდა მოხდეს მისი დაუყოვნებელი შეკეთება, ვინაიდან თავიდან ავიცილოთ ნიადაგის ან წყლის დაბინძურება.